ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 198

ქალაქი ქუთაისი 31 მაისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში
გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის
მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის
29 მარტის №377 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 23 მაისის № 44-4423143243 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №377 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფლამინგოსათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212833790) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის უფლებით, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა №3-ის აღმოსავლეთით (ფართობი: 400 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.24.281) მდებარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.“

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ებ უ ლ ო
მას. № 39

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების მომზადება და გაფორმება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია